№ 272 დეკემბრის 18, სამშაბათი. 1866—1884 დეკემბრის 18, სამშაბათი. № 272

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ოთხ კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

Pour paraître en 1885.

*DEUXIÈME ÉDITION*

*la*

MINGRÉLIE

par

J. Mourier

*1 vol. in-16 de 400 pages avec gravures et cartes*

CONTES GÉORGIENS

(XVII-e et XVIII-e siècles)

du

Prince Saba Soulkhan Orbéliani

par

J. Mourier

une brochurc in-16 tirée seulement à 50 exemplaires numérotés sur beau papier anglais teinté. (3—2)

საზაფხულო თეატრი

ხუთშაბათს, დეკემბრის 20-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო

მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვისა, მელიქოვისა, ალექსეევ-მესხიევი, აბაშიძე და სხვანი.

მეოთხესა და მეხუთე მოქმედების შუა:

ლიტანია

ტანთ-საცმელი ახალი; დეკორაცია—თბილისისა.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

თბილისი, დეკემბრის 18-ს.

მხოლოდ ნასწავლს, გაწვრთნილს და ცოდნით განმახვებულს გონებას შეუძლიან დინჯად და მიუდგომლად განსაჯოს ავი და კარგი ცხოვრებისა, მისნი ნამდვილნი საჭიროებანი, ან რა წამალი დაედება ამა-და-იმ სატკივარს, რა მსვლელობა უნდა მიეცეს ამასა-და-იმ სასიამოვნო, სალხინო გარემოებას, და მოვლენას.

ცხოვრებაში მრჩეველი ბევრია, სენის მკურნალთა რიცხვი მრავალი, მაგრამ მზრუნველთა დასში მხოლოდ ერთსა და ორს, სამსა და ოთხს იპოვნით ისეთს, რომელიც მართლა იცნობდეს თავის ქვეყანას, შეგნებული ჰქონდეს თავის მდგომარეობა, თავის მამულის საჭიროებანი.

ჩვენ აქ არ ვიღებთ რომელსამე განსაკუთრებულს მოვლენას, სახეში არა გვაქვს რომელიმე განსაზღვრული საჭიროება ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოდ ჩვენს განვითარებაზე, სწავლა განათლებაზე, ეკონომიურ კეთილდღეობაზე და სხვ. და სხვ....

ორს კაცს ვერ იპოვი, რომ მხოლოდ შემკრებელი მაინც იყოს თავის ქვეყნის მდგომარეობის შესახების ცნობებისა. არ არის ქართველი კაცი, რომელმაც იცოდეს თავისი ქვეყანა, არა თუ, მაგ., ისტორიულად, იურიდიკულად, ეთნოგრაფიულად და სხვ. და სხვ., არამედ გეოგრაფიულადაც...

მაგ. დღეს სახემწიფო ქონებათა სამინისტროს მოუთხოვნია ცნობა აქაურის ადმინისტრაციისაგან, რა ღონისძიება უნდა იყოს ხმარებული, რომ გლეხ-კაცს ხელიდამ მიწა-წყალი არ გამოეცალოს და უსახლ-კაროდ არ შეიქმნეს. აბა, მიჩვენეთ და დაგვისახელეთ ის ქართველი განათლებული, რომელმაც უნდა დინჯად, გაუტაცებლივ, წინად-გაზეპირებულ ევროპიელი მოძღვრების გარეშე, სხვა-და-სხვა თეორიების მიუხედავად, უბრალოდ და მარტივად განსაჯოს ეს საგანი იმ ცნობათა მიხედულობით, რომელნიც ხელ-ქვეშ ექნება სამიწა-წყლო ურთი-ერთობაზე, გლეხ-კაცის ეკონომიურ მდგომარეობაზე? ვერ დამისახელებთ და თუ დამისახელებთ მხოლოდ ერთსა და ორს, და ისიც დიდის გაჭირვებით, დიდის ყოყმანით.

ასეთივე იყო საგანი, დაბადებული მთავარ-მმართებლის მიერ წარდგენილის წინადადების შესახებ სამეურნეო საზოგადოებაში ვილაც მეისნერის პროექტის გამო.

ასეთივე იყო საგანი ტრანზიტის მოსპობაზე და ასეთივე საგანი ამიერ კავკასიის ირიგაციის შესახებ, რო-

«დროების» ფელეტონი, დეკემ. 18-ს

## ელეონორა

(მოთხრობა*)

### VI

გათავდა ვახშამი და ყველანი თავ-თავის საწოლებში წავიდნენ; მაგრამ სანამ ძილი თვალებს დაუხუჭავდა, ყველანი ჯერ კიდევ მეჯლისის შთაბეჭდილებით სიამოვნებდენ, ყველას პირი უცინოდა და რაღაცა ალტაცებაში იყო. თვით ასლან ბირეი ისე იყო თავ-ბრუ დასხმული, რომ ველარც დაწოლა მოეხერხებინა, ველარც დაძინება და სიფხიზლე და ზეზე ყოფნაც აწუხებდა; ძალზედ აჩუხჩუხებული სისხლი ალმა-ღალმა მიექანმოექანებოდა, თან დაჰქონდა ელეონორას სახელი და ლეკის გულს მოუსვენრად აფართხალებდა.

ასლან-ბირეი პირველად ჰგრძნობდა იმ უხილავს ძალას, რომელიც ქალის წინაშე თავს ახრეინებდა. აქამდის ასლან-ბირეისათვის ლამაზი ქალი ზეცისგან მამა-კაცის ჯილდოდ იყო დანიშნული, შეადგენდა კაცის საკუთრებას და ამ უკანასკნელს უფლება ეძლეოდა, სურვილისამებრ ქინის სათამაშოდ გაეხადა. მას სხვა რიგად არ ესმოდა ქალი და მისდამი ვერც სხვა გრძნობას წარმოიდგენდა. ამისთვის, როდესაც ნაზ-ქმნილებას თვალს სადმე მოჰკრავდა, თუმცა მაშინვე გაუარშიყდებოდა, მაგრამ ეს არშიყობა იყო უმაღლესისა უმდაბლესისადმი, რომელსაც საბედნიეროდ უნდა მიეღო მამა-კაცისაგან მოწონება და არშიყობით გაბედნიერება.

ელეონორას ნახვამ ასლან-ბირეი ერთბაშად დაიმორჩილა, თავი მოახრევინა და მედიდურობის მძებნელი მებატონე, დაბორკილებულ მონად გახადა.

უწინ ასლან-ბირეის ქალის შესახებ მხოლოდ ბრძანებლობა ესმოდა, ეხლა-კი სხვა სანატრელი აღარა ჰქონდა-რა, ოღონდ ელეონორას ბძანების აღმსრულებელი შექმნილიყო.

ბუნებითვე «შთამბეჭდავი» და მოუსვენარი ხასიათი ყმაწვილის, სიცოცხლით სავსე მთიელისა, ეხლა უმეტესად აღელდა როგორც მთის მდინარე ცხარე მზისაგან და წარმოუთქმელის სისწრაფით ვინ იცის, საით გაქანდა.

ის მიწვებოდა, თუ წამოიჭრებოდა, თვალს გაახელდა, — თუ დახუჭავდა, ყველგან ელეონორას სახე ეჩვენებოდა: ის უდგა თვალ-წინ და, რა სიტყვის წარმოთქმაც უნდა სდომებოდა, ტუჩები, მისვე უნებურად, პირველად ცქრიალას სახელს წარმოსთქვამდენ. ისედაც აღგზნებულს და გახურებულს გონებას, ახლა კიდევ ღვინის ძალა ემატებოდა და ასლან-ბირეი თან-და-თან გონებას ჰკარგავდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ლეკთა ყმაწვილი მებატონე ამ ალტაცებაში იყო, მუდამ მხიარულის ელეონორას სახეც რაღაცა მჭმუნვარებას შეეპყრო და მისი სწრაფად ერთი საგნიდან მეორეზედ გადამსვლელი აზროვნება ერთს საგანს დაჰკვირებოდა.

ქალს უკვირდა თვისი არა ჩვეულებრივი მდგომარეობა და ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, რომ მისი ნაზი, ცქრიალა და პაწაწა გული მიჯნურობის ისარს გაემსჭვალა.

ელეონორას აგონდებოდა ასლან ბირეი, რომლის სიტყვებიც ისე ტკბილად და ნაზად უმეორდებოდა ყურში და ამაოდა ცდილობდა ჩვეულებისამებრ ყმაწვილი ლეკის საქციელში სასაცილო რამ ეპოვა. რაწამსაც სცდიდა წადილის აღსრულებაში მოყვანას, რა წამს ლეკის სახეს ჩხრეკას დაუწყებდა, სასაცილოს მაგივრად, თვალ-წინ წარმოუდგებოდა ლეკის ნაზი და თხელი ტუჩები, მომხიბლავის ღიმილით, გაცხოველებული პირისახე და ჟუჟუნა ცეცხლის მფრქვევი თვალები—წარმოუდგებოდა და, მასხარად აგდების მაგივრად, სულის შემტაცებელს მდგომარეობაში აგდებდა.

ელეონორა თავის ოთახში მარტოკა იყო, რადგანაც საქართველოში მხოლოდ ვახტანგ ხელთუბნელსა ჰქონდა თავის-ქეიფა ქალისთვის ცალკე ოთახი.

ოთახში ბუხარს გუგუნი გაჰქონდა არა იმდენად სითბოსათვის, რამდენადაც გასანათებად და გულის გასამხიარულებლად. ელეონორა იწვა ტახტზედ და პირისფერ ადგილიანი დიბის საბანი მხოლოდ მკერდამდის ჰფარავდა. მოუსვენარს წყვეტებას ერთს ადგილს საბანი რაოდენადმე გადაეგდო და ნაზი პატარა ფეხი გამოეჩინა. რბილს ბალიშზედ მიწოლილს ქალს ლამის თავსაბურავი მოშლოდა და ხშირი, კუპრსავით შავი, ელვარე ღალალები ბალიშს უსწორ-მასწოროდ შეჰფენოდენ. ერთი მათგანი გაპარულიყო და ბროლ ფიქალს ყელს შემორტყმოდა; მოვის პერანგის საკინძი გახსნოდა და გაპენტილ ბამბის მსგავსი მკერდი გამოე-

*) იხილე „დროება“ № 246.

მელზედაც ასე ზრუნავს დღეს იგივე სახემწიფო ქონებათა სამინისტრო. აილეთ სხვა-გვარი წარმოება, სხვა-გვარი რიგი და ჯგუფი მოვლენათა...

ვინ რა იცის, მაგ., რა მადანი და რა განძი იპოვება ჩვენის ქვეყნის მადლიან დედა-მიწის გულში, ვინ რა იცის მაგ., რა მდგომარეობაშია ჩვენში ცხვრის მოშენების საქმე და მატყლის ვაჭრობა, რომლის რიგიანად მოწყობაზედ და გლეხის დაფარვაზედ წვრილი ვაჭრისაგან, ჩვენ მაგიერ ზრუნავს ისევ უცხოელი ფრანსიელი კამპანია. ვინ რა იცის, მაგ., ჩაის კულტურის შესახებ ჩვენში ან ბამბის მოყვანისა და კულტურის შესახებ, რომლისთვისაც მინისტრს მოსკოვისა და საზოგადოდ რუსის ვაჭარნი ეხვეწებიან: ჩვენ გამოვიწერთ ჩვენის ხარჯით ამერიკიდამ უფასოდ ბამბის თესლს და მუქთად დავარიგებთ ქუთაისის გუბერნიაში და საზოგადოდ ამიერ-კავკასიაში, იქნებ ხალხმა ბლომად აწარმოვოს ეს საჭირო მასალა ჩვენის მანუფაქტურებისათვისაო. ვინ იცის მაგალითებრ მდგომარეობა შემოერთებულის თემებსა, ვინ იცის თუნდ, რა ადგილებზე გაჰყავთ ეხლა გზა ახალციხესა და ართვინს შუა და რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ამ გზის გაყვანის დროს.

დავანებოთ თავი თუნდ ამ ეკონომიურ საგნებს, ეს ღირსი არ არის ლაპარაკისა ჩვენის იდეალისტებისათვის, რომელნიც ვიქტორ ჰიუგოთი და ტურგენევით ატკბობენ თავიანთ ესტეტიურს გრძნობას და პუშკინის კითხვით თავიანთ ნაზს, მუსიკალურად ფრიად განვითარებულს ნაზს სმენას. მაგრამ განა ან ეს კი მართალია? განა ან ეს-კი ითქმის ჩვენს გონებრივ მონობაზე, მონებრივ გლახაკობაზე! მერე იმათ რომ ვიქტორ ჰიუგო იკითხონ და პუშკინით დაიტკბონ სმენა — პისარევს გენიოსი ვილამ დაუძახოს, ტაში ვილამ უკრას იმათ, ვინც წყვილ წლას მთელს შექსპირს ამჯობინებდა, მერე „ვეფხვის ტყაოსანს" «არაკი» როგორღა დაუძახოს, საკუთარი წარსული ერთს საუკუნო სიბნელედ და უდაბნოდ როგორ-ღა აღიაროს.

აილეთ ასე ამ გვარად და ესეთი შედარება განაგრძეთ, ვიდრე არ ჩამოსთვლით ყოველს შტოს ცოდნისას და ვიდრე არ დასახავთ ყველა ტიპებს ჩვენის გონებრივის უბადრუკობისას...

აილეთ მაგალითად ჩვენი იურისტი, მცოდნე სახელმწიფო უფლებისა, ხალხთა-შორებრივის უფლებისა, რომაელთ უფლებისა, მცოდნე ბენისა, შტეინისა და სხვ. და ჰკითხეთ უწინ საქართველოში კაცს რომ კაცი მოეკლა, რა სასჯელი გადახდებოდათქო. არ ეცოდინება. ჰკითხეთ მაგალითად ამ სამთო ინსტიტუტში კურს შესრულებულს ინჟენერს; ოქრო და ვერცხლი სად იპოვება საქართველოში-თქო?—გაჩუმდება.

— მაშ ვილაც დავიდოვმა ფრანსიულ ენაზედ რომ წიგნი შეადგინა ამ საგნის თაობაზე და ოდესაში რომ დაბეჭდა, არ გადაგითვალიერებიაო? არც კი ვიცი მაგ წიგნის არსებობაო — გეტყვის. ასეა ყველა ჩვენი ვითომ მცოდნე და განათლებული, თითო-ოროლას გარდა, რასაკვირველია, და რა არის ყველა ამის მიზეზი, თუ არ უკუღმართობა ჩვენის გონების ცრუ მიმართულებისა?..

---

## შინაური ქრონიკა

== მომავალს დღესასწაულებში ტფილისის ქართველი საზოგადოება მოისმენს ქართულ-საეკლესიო გალობას ა. ი. მრ—ისას. ამ პატივცემული მოხუცის ა. მრ—ის „მუსიკალური ოჯახი" სცხოვრებს ქ. ქუთაისში. მუსიკალური ოჯახიო იმიტომ ვუწოდეთ, რომ როგორც მოხუცი მამა აგრეთვე ვაჟები და ქალები და ქმრები ამ ქალებისა — ყველანი მომღერალ-მგალობელნი და სხვა-და-სხვა ინსტრუმენტებზე დამკვრელნი არიან. ა. ი. მრ—შვილი კარგა ხანია, რაც გალობისათვის შრომობს. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში საბოლოოდ შეამუშავა მთელი წირვის წესი და გადაიღო ისინი ნოტებზე. ვისაც გაუგონია ეს ხმები, ყველანი დიდად აქებენ და საუკეთესოდ მიაჩნიათ სხვა წირვის წესებზე.

== „ს.-პეტერბურგის უწყებანი" გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში მინისტრთა კომიტეტისაგან დამტკიცებულა დებულება იმ წესების დასამყარებლად, რა წესებითაც შეიძლება სახემწიფო მიწები და მამულები გლეხთა საზოგადოებას უნდა მიეცეს იჯარით ვაჭრობის მოუხდენლად. ამ გლეხკაცობის ეკონომიური კეთილ-დღეობისათვის დიდად საყურადღებო კანონის არსებითი შინაარსი შემდეგია: 1) სახემწიფო ქონებათა მინისტრს, დროებით, აქვს მინიჭებული უფლება იმ ადგილებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, თავისუფლად სახემწიფო მამულების მდგომარეობის გამო, გასცეს იჯარით ყველა გვარ საგლეხო საზოგადოებათა სახემწიფო მიწები. იმ მიწების გაცემა შეიძლება იჯარით, რომელნიც ახლო არიან საზოგადოებათა მიწებზე, ანუ საზოგადოდ 20 ვერსზე მეტ სიშორეზედ არა მდებარეობენ და მხოლოდ გუბერნატორების შუამავლობით და შინაგან საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკების შემდეგ; 2) შუამავლობის ქაღალდი გუბერნატორებისა მიწების იჯარით მიცემაზე გლეხთა საზოგადოებათათვის ვაჭრობის გაუმართველად უნდა წარედგინოს სახემწიფო ქონებათა მინისტრს და ზედ დაერთოს დაწვრილებითი ცნობანი ადგილობრივ საგუბერნიო გლეხთა საზოგადოებათა მიერ მიწების იჯარით აღების საჭიროების შესახებ და ადგილობრივ კერძო მემამულეთა მიწების ქირაზე. ყველა ამას უნდა დაერთოს აგრეთვე აზრი სახემწიფო ქონებათა მმართველობათა იმის შესახებ, რა ვადით და რა ფასად შეიძლება მიეცეთ გლეხებს ის მიწები; 3) იჯარის ფული განისაზღვრება გლეხთათვის გადაცემულ სახემწიფო მიწებისათვის სახემწიფო ქონებათა მინისტრისაგან, რომელიც ივარაუდებს, უწინ რა შემოსავალი მოჰქონდა იმ მიწებს და აგრეთვე, რა ღალას ართმევდენ გლეხებს სახემწიფოსა და კერძო მიწებში; 4) იმის საბუთად, რომ რიგიანად გადიხდიან გლეხთა საზოგადოებანი აღებულს მამულზე დაწესებულ იჯარას, შეიძლება წარმოდგენილ იქმნას სასოფლო გარდწყვეტილებანი, შედგენილნი იმ წესით, რა წესიც იქმნება ამ შემთხვევისათვის დადგენი-

---

ჩინა. სახეს წადილთან შეერთებული დაქანცვა დასტყობოდა, ნაზი მარჯანისებრი ტუჩები გაშრობოდა და მოუთმენლადა ჰქშინავდა.

ქალს თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა, მაგრამ გრძელს შავს წამწამებიდგან ორ ნაღვერდალსავით ბრწყინავდა სიცოცხლის შუქი. შუბლი ოდნად შეჰკროდა და მიმზიდველს მნათობს მრისხანების იერი გადაჰკროდა. ელეონორა უებრო იყო, ამ ჟამად მას ბატკნის გამძვინვარება შეეძლო და გამედგრებულის ლომის დამორჩილება.

ამ დროს მოისმა რაღაცა ხმაურობა და ელეონორამ ერთბაშად თვალები გაახილა, წამოიწია, მაგრამ ისევ მალე დამშვიდდა, რადგანაც ოთახში არავინა სჩანდა.

ჩამოვარდა სიჩუმე, ელეონორა ისევ უწინდელს მდგომარეობაში ჩავარდა, ისევ ძველმა ფიქრებმა გაიტაცა. გამეორდა ისევ ის ხმა, მაგრამ ახლა უფრო მომეტებულის ძალით და გამუდმებით.

ქალი შეკრთა და ქვეშსაგებში სწორედ იმ დროს წამოჯდა, როდესაც კარები შემოიღო და იქავ ვილაც კაცი გაქვავებულსავით გაჩერდა.

— ასლან ბირეი! შეშინებით წამოიძახა ელეონორამ და წარბები სიბრაზით შეეჭმუხნა.

— მომიტევე, მაპატიე. მღელვარებით, თუმცა ზრდილობიანად, წარმოსთქვა ლეკმა და ერთი ნაბიჯი გადასდგა.

— არ გაბედო! მკაცრად და ბრძანებით შესძახა ქალმა და კაციც გაშეშდა. უზრდელო! ვინ მოგცა ეგ უფლება?

— სიყვარულმა, მოისმა წყნარად და ნიავსავით მთრთოლვარედ.

ლეკი იდგა თავ-დახრილი, აღელვებული და ძლივსა სუნთქავდა. ფერი განუწყვეტლივ ეცვლებოდა და გაფითრებული სახე წამდაუწუმ ალისფრად ელებებოდა. თვალები გალურჯებულს ნაკვერჩხალს დამზგავსებოდა, თუმცა მაღლა თავის აღება და პირდა-პირ შეხედვა ვერ გაებედა.

ელეონორანაც გაჩუმებულიყო, რადგანაც პირველის აღშფოთების შემდეგ მიტევების გრძნობამ შეიპყრო.

— წადი, ეს გამბედაობაც საკმარისია!

პასუხის მაგივრად, ასლან-ბირეიმ ისე საწყლად და შესაბრალისად შეხედა ქალს, თითქო ამ სიტყვებით გული მახვილით გაუწონესო.

— არ გესმის, ვერ გაიგონე? გაიმეორა ქალმა, მაგრამ იმასაც სიბრალული დაეტყო და ხმა რამდენსამე ადგილს გაუწყდა. მან იგრძნო, რომ ბრძანების კილო ცუდად დაფარულის მორჩილების ხმად გადაექცა და სწორედ იმ დროს, როდესაც სიტყვებით ლეკს წასვლას უბძანებდა, ნაზსა და მთრთოლვარე ხმაში სულ სხვა წადილი შეინიშნებოდა.

ამ ხმამ ელექტრონულ ძალასავით გაურბინა ასლან-ბირეის მთელს არსებაში და აგრძნობინა, რა განუსაზღვრელ ბედნიერებაში ჩავარდა ასე მოულოდნელად. მთიელი გაქრქოლდა, უანგარიშოდ გაიშვირა ხელები და, თავ-დავიწყებულმა, მკლავებში შეშინებულის და ათრთოლებულის ქალის სხეული იგრძნო.

ქალი შეეპყრო ჯერედ გამოუცდელს ძალას, რომელსაც დაესუსტებინა, მოედუნებინა და საკუთარ ძალღონეს მოკლებული უანგარიშოდ სხვის უფლებისთვის დაემორჩილებინა.

ელეონორა იმ წუთების განმავლობაში ავად იყო, მაგრამ ეს ავადმყოფობა მეტად ტკბილად და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა და ამიტომ არ შეეძლო სრულიად არ მისცემოდა.

გაშმაგებული ლეკი შეეხო მის ტუჩებს, დააკვდა ზედ და სუნთქვა შეუწყდა.

ქალი ერთბაშად შეკრთა, გაინძრა და, თავ დავიწყებულმა, ხელის კვრით მოიშორა. ელეონორა გამოფხიზლდა და ეს გამოფხიზლება ვეფხვის გამოფხიზლება იყო. გამწარებულს ლომსავით, თავის აქნევით თმა უკუ გადაიყარა და თვალნი მეხის მსროლელთ დაემგზავსნენ.

ლეკი თუმცა ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, მაგრამ ქალის მრისხანება ეგრძნო, შეშინებოდა და დამორჩილებული, თავ-დაღუნული დამნაშავესავით იდგა. გამედგრებულს ქალს ეგრძნო შეურაცხყოფა და ლეკის გამბედაობით გაბრაზებული, თავის სისუსტეზედაცა ბრაზობდა. ელეონორას პირის-სახე ამ წუთებში განრისხებულს ცას დამზგავსებოდა.

კარგა ხანს იდგნენ ასე გაჩუმებულნი: ნაზი ქმნილება — მრისხანე ანგელოზად და მხნე და შეუპოვარი კაცი-კი დამორჩილებულს ნორჩს შტოსავით, რომელსაც მედგარად ამოვარდნილი გრიგალი უწყალოდ ჰხრიდა და ზნექავდა.

ელეონორამ ამოისუნთქა, ხელი მიიტანა გულთან, ყელთან და შეიკუმშა თითქოს ვეფხვს მსხვერპლისკენ გადახტომა განუზრახავსო. ბოლოს გაიშვირა ხელი და მბრძანებელის მოძრაობით ლეკს კარები უჩვენა.

ლი, და დასასრულ 5) ამ წესით ალებული მიწები არ შეიძლება დაეთმოს გლეხთა საზოგადოებათა მიერ უცხო პირებს და ამ გვარ მიწებით უნდა სარგებლობდენ მთელი საზოგადოებანი და არა მხოლოდ რომელნიმე მათი წევრნი.

═ როგორც ვიცით, უკვე დამტკიცდა ის წესები, რა წესებითაც უნდა გადაეცეს პრიკაზში დაგირავებული მამულები საქალაქო საკრედიტო საზოგადოებას. ეხლა კიდევ ოფიციალური ქაღალდი მოსულა ფინანსთა მინისტრისა, რომლიდამაც სჩანს რომ Tბილისის განყოფილებაც სახემწიფო ბანკისა მიიღებს ობლიგაციებს ამ საზოგადოებისას, მხოლოდ მისის ხელით, როგორც სათანხო ვალისას, ისე სხვა დარჩენილ ფულისა და ჯარიმის გადასახდელად. ეხლა, როგორც ,,ნოვ. ობოზრ—ეს“ გაუგონია, საკრედიტო საზოგადოება შუამდგომლობსო, რომ ობლიგაციები პირ-და-პირ მოსაკუთრეთა ხელითაც მიიღონ, რადგან ზოგს არც კი უნდა თავის მამულის გადაგირავება „საზოგადოებაში“ და ზოგს კიდევ, ვისიც ვალი 1000 მან. მეტი არ არის, არც შეუძლიან გადააგიროს, რადგან წესდების ძალით „საზოგადოება“ ვერ მიიღებს ამ ფასის მამულებს. ამ შუამავლობის პატივდებაში მიღება ფრიად სასარგებლო იქნებაო, ამბობს გაზეთი, რადგან წვრილ მოვალეებს პრიკაზისას ასცდებოდათ ის შემსუბუქება, რომელიც წარმოსდგება % დაკლებით 8-დამ 5-დე.

═ მთელი Tბილისი ფეხზე დადგა იმის გამო, რომ ამ დღეებში Tბილისში გარდაცვლილის კაპიტანის სურგუნოვის ცოლის სიკვდილის მიზეზი ზოგმა ექიმებმა ერთი სცნეს და ზოგმა სრულიად სხვა. პირველად Oნანოვი და ბარალევიჩი სწამლობდენ თურმე ავადმყოფს და სთქვეს, რომ ფილტვების ანთებით არის ავადაო. მერე ავად-მყოფი უნახავს ბასპარიანცს და მიკირტიჩიანცს და გამოუცხადებიათ, რომ ეს ავადმყოფობა წარმომდგარა საშვილოსნოს გაციებითა და ანთებითაო იქავ ლოგინობის შემდეგაო. ამ სახით გაამტყუნეს თურმე Oნანოვი და ბარალევიჩი, რომელთაც დაჰბრალდათ უმეცრებისაგამო და ავად-მყოფობის გაუგებრობით წამომდგარის წამლობის მიერ მკვლელობა ქ. სურგუნოვისა. როცა მეორე დღეს ქალი მართლა გარდაიცვალა და საშინელი ბრალი დასდეს ექიმებს, საცოდავმა ქმარმა მოითხოვა გაეჭრათ გვამი მიცვალებულისა. გაჭრას დაესწრო 9 ექიმი, რომელთაც დაამტკიცეს, რომ სიკვდილი წარმომდგარა ფილტვების ანთებისაგამო და რომ არავითარი საშვილოსნოს ავად-მყოფობა არა ჰქონია მიცვალებულსაო და დოქტორი ბასპარიანცი იძულებული იყო იქ გამოეცხადებინა თავისი შეცდომა. ამბობენ რომ დოქ. ბასპარიანცი ხშირადა სცდება სწორედ ამ გვარადო. საბედნიეროდ, ეხლა ეს შეცდომა ცხადად დაუმტკიცეს და როგორც ისმის დოქ. Oნანოვი სთხოვს თავის მოძმეს სასამართლოში მოუთხროს ყველას, როგორ და რა საფუძვლით შესცდა იგი და თავის შეცდომით კინაღამ ყელი გამოსჭრა კაცს და ფეხ-ქვეშ გალესა უდანაშაულო პირის სახელი. ეს პროცესი ძალიან საინტერესო იქნება, რასაკვირველია. (,,ნოვ ობოზრ“).

═ ამ წლის დამდეგს რომ ავჭალის ქუჩაზე მკვლელობა მოხდა ორის მოხუცებულის ცოლ-ქმრისა, რომელთ სახლსაც ჯერ ცეცხლი წაუკიდეს, დღევანდლამდე, როგორც ვიცით ვერავითარის ძიებით გამოძიებამ ვერა აღმოაჩინარა. დღეს ,,ნოვ. ობოზ. სიტყვით, დაუჭერიათ ამ საქმის ერთი პირი, რომელიც პოლიციაში მსახურობსო.

═ შემდეგი კონცერტი მომღერლის სლავიანსკისა დანიშნულია ხვალ კრუჟოკშივე.

═ ამ დღეებში ერთს ყმაწვილ ბებია-ქალს, რომელიც ბორჩალოში იყო გაგზავნილი თავი მოუკლავს. ყმაწვილ ქალს, რომელიც 20 წლისა იყო თურმე, პატარა ბარათი დაუტოვებია, რომელშიაც წერებულა: ,,სიცოცხლე მომწყინდაო“.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

დეკემბრის 15.

პეტერბურგი. დღეს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში დაიწყეს მოსმენა სამხედრო-მედიცინურ მმართველობის სტოლ-ნაჩალნიკზე კორიცკისა და ორენბურგის საოლქო-სამხედრო და სამედიცინო ინსპექტორის თანაშემწის ფერროს საქმისა, რომელთაც ბრალდებათ ფულის დატყუება ექიმებისა და ფარმაცევტების თანამდებობაზე გაწესებისათვის; 13 მოწამეთა შორის არის სამხედრო-სამედიცინო მთავარ ინსპექტორად ნამყოფი კოზლოვი. კორიცკი გამოტყდა, რომ საჩუქრებს ვიღებდიო; ფერრო კი უარ ჰყოფს ამაში მონაწილეობის მიღებას.

ბერლინი. ხმა ბისმარკის წასვლის შესახებ პარიჟში არა მართლდება. ამ ხმის გამო ,,ჩრდილო-გერმანიის გაზეთი“ ამბობს, რომ ბისმარკის წასვლა პარიჟში მეტია, რადგან მტკიცე მეგობრობა სუფევს საფრანგეთსა და გერმანიას შორისაო.

ხოლო ეს ხმა იმიტომ გამოვიდა, რომ ექიმებმა ურჩიეს ბისმარკს ცოტაოდენი ხანი დაჰყოს სადმე სამზღვარ გარედ, მაგალითად— ეგვიპტეში ან თბილისში და საქმეებზე ხელი აიღოსო.

დეკემბრის 16.

პეტერბურგი. სლავიანების პირველ-მასწავლებელთა სასახელო საქმეების აღსადგენად ყოველის მართლ-მადიდებელის რუსის მახსოვრობაში, წმ. მეთოდის დაბადების მეათასე წლის დღეს, 1885 წ. მაისის 6-ს იქმნება ყველა ეკლესიებში წირვა, რომელზედაც წარმოთქმულ იქმნებიან დღესასწაულის შესაფერნი ქადაგებანი; მოსწავლენი დათხოვნილი იქმნებიან ამ დღეს სასწავლებლებიდამ, სადაც მოხდება სადღე სასწაულო კრებანი და

---

ასლან-ბირეი წელში წაიკლაკნა, თითქოს ელექტრონული ძალა იგრძნოვო და მომუდარე თვალით ელეონორას შეხედა. ქალს შეწყალება არ ეტყობოდა.

— შემიბრალე. წყნარად წარმოსთქვა ლეკმა.

— აჰ!—მოუთმენლად წამოიძახა ელეონორამ და დაუმატა:—აი, კარები.

— ელეონორა!...

— კმარა! გააწყვეტინა ქალმა და ლეკმა სიტყვის გაგრძელება ველარ გაბედა.

რამდენსამე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ასლან-ბირეიმ კიდევ რამდენჯერმე სცადა შეეხედნა ქალისთვის, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა. ქალმა წადგა რამდენიმე ნაბიჯი და გადაწყვეტით წარმოსთქვა:

— გადი აქედგან! ასლან-ბირეი შეკრთა, შეიძრა და შეპყრობილი, დამორჩილებული უხილავის ძლიერებით, ბრძანებას დაემორჩილა. ლეკი ჯერ შეიძრა, შემდეგ კარებისკენ წყნარად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ბოლოს თითქმის გაიქცა.

გაიქცა, მაგრამ როდესაც კარს მიაღწია, შესდგა, მობრუნდა და ცალმუხლ—მოდრეკილმა ხელები გაიშვირა.

— ელეონორა! ნუ იქნები უწყალო! რა დაგიშავე?

— შენ შეურაცხყავ უმანკო ქალის სახელი.

— შენის სიყვარულით!

— Iსარგებლე ქალის სისუსტით.

— ელეონორა, მიყვარხარ! Iსე წამოიძახა ლეკმა, თითქოს ამ სიტყვებს სული ამოატანაო.

— მით უარესი შენთვის! შეუბრალებლად წარმოსთქვა ელეონორამ და დაუმატა:—მე-კი თავის დღეში არ მეყვარები. ლეკი გველ-ნაკბენსავით წამოვარდა, წატორტმანდა ქალისკენ, შესდგა და მთლად გაფითრებულმა ცახცახი დაიწყო,

— მაშ... ვინ გეყვარება? ძლივს წარმოსთქვა ლეკმა.

— ვინც პირველი შემხვდება, მხოლოდ შენ-კი არა.

— მე მოვკლავ, დავახრჩობ იმას!

— მაგასა ვნახავთ. ქალმა ამაყად გაიღიმა. კმარა!.. მომშორდი.

— კარგი, ელეონორა, კარგი!.. ზინდა ჩემი ტანჯვა და ვასრულებ შენს ბძანებას. მაგრამ იცოდე ისე მიყვარხარ, ისე რომ, სხვას ასე სიყვარული არ შეუძლიან.

— პაპაპა! მოისმა საწამლავ-გარეული სიცილი.—არცა ვსაჭიროებ... სამაგიეროდ მე მეყვარება, მე დავატკბობ და სამოთხის ნეტარებას მივსცემ.

— და მე?

— შენ?... შენ-კი ჯოჯოხეთს გესმის?.. ჯოჯოხეთს გაგრძნობინებ!.. გაგახმობ, დაგაჭკნობ, დაგლევ და შენი მდგომარეობა მხოლოდ სიცილს მომგვრის.

— კმარა, გეყოფა!.. მივდივარ, მაგრამ მაინც ჩემი იქნები... პირველს, რომელსაც შენი ღიმილის სიტკბოება გაუვლის გულში, მასთან ერთადვე ჩემი ხანჯალიც შიგ გადუტრიალდება... ვისთვისაც გაელვარებას დაპირებს შენი თვალები, იმაზედ ავატირებ ქვეყანას, ვისაც ჩახვევას დაჰპირდები, მას ცივი სამარე ჩაიხვევს...გახსოვდეს ელეონორა!.. ამას გეუბნება ასლან-ბირეი და კიდეც აღასრულებს!.. მშვიდობით!

ამ სიტყვებისათანავე გაელო კარი და ლეკი ღამის სივრცეში შთაინთქა, ქალი-კი რაოდენსამე ხანს გაშტერებული დარჩა იმავ ადგილას.

ბოლოს ამოისუნთქა, წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

— მაშ, მაშინებ?.. მემუქრები?.. ვნახოთ!

მეორე დღეს დილით, როდესაც ყველანი ადგნენ და სახლის უფროსმა ბიჭს განკარგულება მისცა, რომ სტუმრისთვის სამგზავროთ ცხენი გაემართათ, პასუხად მიიღო, რომ სტუმარი გათენებისას წავიდაო.

გაშტერებულმა სახლის-პატრონმა არ იცოდა, რისთვის მიეწერა ასლან-ბირეის ასეთი საქციელი. ელეონორას-კი, წარსულის ღამით დაქანცულს, ძლივს მისძინებოდა, მაგრამ წარსულის შემთხვევის შთაბეჭდილება, ეტყობოდა, გონებიდგან ჯერ არ ამოშლოდა.

ნაზს სახეს მრისხანე ღიმილი დასჩნეოდა და წარბები შესჭმუხნოდა.

უეჭველია, სიზმარში იყო, რადგანაც იმის ტუჩები იძროდა, თითქოს ვიღასაც ელაპარაკებაო.

— მემუქრები?.. მაშ ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, წარმოსთქვა იმან და ღრმა ძილს მიეცა.

ა. მოხნუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

წარმოთქმულ იქნებიან დღეობის შესაფერნი სიტყვანი.

ხმებია, რომ საერო და საზოგადო დაწესებულებათა მიეცემათ უფლება მთელის წლით წინ-და-წინ აიღონ სამხედრო სადგომების ქირა.

უმაღლეს ხაზინაში აღმოჩნდა დანაკლისი ოქროსა და ვერცხლის მანათებისა. ამასთან ერთად დაიმალა ანგარიშის მწარმოებელი გორნილოვი და უეცრივ გარდაიცვალა ნაცნობებთან.

**მოსკოვი.** საგუბერნიო ხაზინიდამ მიღებულია 26,500 მან. ყალბის ბარათებით. ეს ფული ოლქის სასამართლოს დეპოზიტს შეადგენდა, რომელიც მიღებულია ,,გრევსმეხის'' ფირმისაგან.

**მადრიდი.** ანდალუზიაში მოხდა მიწის ძვრა, დაიღუპა და დასახიჩრდა 150 კაცი.

**ვენა.** ,,ძმ. ვეტიცის'' ფირმის ორთავ მოთავეთ თავი მოიკლეს, რადგან ფირმის საქმე ცუდად მიდიოდა.

დეკემბრის 17-ს

**პეტერბურგი.** რადგან გამსესხებელი კასები დიდს სარგებელს იღებენ, აზრადა აქვთ გაადიდონ პასუხის-გება იმ პირთა, რომელთაც მოვახშეობა ბრალდებათ.

დაიწვა აქციონებთა ფაბრიკა საფეიქრო და ქაღალდის მკეთებელი. ზარალი ექვსას-ათას მანათზე მეტია.

**მოსკოვი.** გუშინ დიდის ამბით იდღესასწაულეს დიდს თეატრში 50 წლის იუბილეი აქტიორის სამარინისა.

**მადრიდი.** მიწის ძვრამ დიდი ზიანი მოიტანა. ბევრი სახლი დაიქცა. 266 კაცი დაიღუპა.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.


## განცხადებანი

ქ. გორში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე სამზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში $20_0/^0$ წინ მიღებით ბეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას ბორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრაკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წვრილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ—თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; ჭირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ზეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოოზ ღიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—10) ალალო თუთაევი.



**გამგეობას ნიკოლსკის მანუფაქტურის ამხანაგობისა**

«საბა მოროზოვის შვილი და ამხ.»

აქვს პატივი შეატყობინოს ბბ-თ ვაჭრებს, რომ მათის სარგებლობასათვის 1885 წ. იანვრის 1-დამ, გაიხსნება საწყობი ერთობით გაყიდვისათვის, როგორც ბამბის ნაწარმოებისა, აგრეთვე ალისფერის საქონლისა სოკოლოვსკის მანუფაქტურისა, ასაფა ბარანოვისა და შა...ის საქონელი ბუტიკოვის მანუფაქტურისა.

საწყობი გახსნილია ბაქოში, ლალაევის სახლში, „ევროპის" სასტუმროს მახლობლად.

საქონლის ფასი იგივეა, რამდენიც საერთო საწყობებში ქ. მოსკოვში. (5—2)

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნავთიერება არ-ურევია, ნება—დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

,,პ ე რ უ ი ნ ი''

წვენი პერუვიელ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

**ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.**

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვინელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდა'ს.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. გაგზავნით იყიდება რუსეთის ყველა საათფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის თბილისში საზოგადოება საათფთიექო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. Ц. 19,475.

(10—6)

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ ,,რამაშკა ბურელის'' ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

იყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში ,,კავკასიის საზოგადოება საათფთიაკო საქონლით ვაჭრობასა და მის განყოფილებში ბაქოს. Ц. 19,485

(25—6)

ВЪ ГОР. БАКУ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ"

На 1885 годъ.

ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

,,КАСПІЙ" ВЫХОДИТЪ ЕЖЕДНЕВНО, КРОМѢ ДНЕЙ ПОСЛѢПРАЗДНИЧНЫХЪ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой въ другіе города: на годъ 8 руб. 50 коп.; на полгода 5 руб.; на три мѣсяца 3 руб.; на 1 мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Иногородные обращаются: **Въ редакцію газ. „Каспій", въ Баку.**

Редакція, по прежнему, будетъ стараться знакомить своихъ подписчиковъ со всѣми новостями мѣстнаго нефтянаго дѣла, а также давать точныя свѣдѣнія о добычѣ нефти на промыслахъ и о вывозѣ ея продуктовъ моремъ и по желѣзной дорогѣ. (3—1)


*Доз. ценз. Тифлисъ, 17 Декабря 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი